ევროკავშირის როლი ჩრდილოეთი ირლანდიის კონფლიქტის რეზოლუციაში

DOI: https://doi.org/10.52340/splogos.2025.02.11

თათული თორდია

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის

სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი

Tatuli.Tordia@ciu.edu.ge

ORCID iD: https://orcid.org/0009-0009-8044-5686

მალხაზ (სოსო) ვახტანგაშვილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის

ისტორიის დოქტორი

soso.vakhtangishvili@ciu.edu.ge

ORCID iD: https://orcid.org/0009-0003-1403-2257

აბსტრაქტი

ჩრდილოეთი ირლანდიის კონფლიქტი ერთ-ერთი ყველაზე კომპლექსური და ხანგრძლივი დაპირისპირებაა თანამედროვე ევროპაში, რომლის რეზოლუციის პროცესში ევროკავშირის ჩართულობა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი უკვე მრავალი მკვლევრის ყურადღების ცენტრშია და ევროკავშირი არ ყოფილა კონფლიქტის გადაჭრის ძირითადი მამოძრავებელი ძალა, მიგვაჩნია, რომ ევროკავშირის ჩართულობის სპეციფიკა საჭიროებს უფრო ღრმა ანალიზს, რათა უკეთ გავიგოთ მისი როლი არა მხოლოდ კონფლიქტის ტრანსფორმაციის, არამედ მისი შემდგომი სტაბილიზაციის პროცესშიც. ამდენად, სტატიაში განხილულია განსხვავებული თეორიული მოსაზრებები, რომლებიც ევროკავშირის სამშვიდობო პოლიტიკის შეფასებას ეხება, მათ შორის, სკეპტიკური და ოპტიმისტური პერსპექტივები.

წინამდებარე სტატიაში საუბარია ევროკავშირის კონფლიქტის რეზოლუციის პოლიტიკის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ ასპექტებზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ევროკავშირის მიერ განხორციელებულ ფინანსურ პროგრამებს, რომლებიც სოციალურ და ეკონომიკურ გაძლიერებას ისახავდა მიზნად. ასევე, ორგანიზაციის მონაწილეობას პოლიტიკურ მოლაპარაკებებში, რამაც დაპირისპირებულ მხარეებს შორის ნდობის აღდგენაში მნიშვნელოვანი როლი

შეასრულა; რის საფუძველზეც კვლევა აჩვენებს, რომ ევროკავშირის როლი არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ეკონომიკური მხარდაჭერით, არამედ გვთავაზობდა უფრო ფართო პოლიტიკურ და სტრუქტურულ ცვლილებებს, რამაც იგი კონფლიქტის მოგვარების პროცესში მნიშვნელოვან აქტორად აქცია. გარდა ამისა, გაანალიზებულია ორგანიზაციის აქტიური მონაწილეობა პოლიტიკურ მოლაპარაკებებში, რამაც არსებითი წვლილი შეიტანა დაპირისპირებულ მხარეებს შორის ნდობის აღდგენის პროცესში.

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის ჩარევა, რიგ შემთხვევებში, კრიტიკის ობიექტი გახდა და მისი გავლენის მასშტაბები სხვადასხვა მკვლევრის მიერ განსხვავებულად ფასდება, აშკარაა, რომ ორგანიზაციამ შექმნა მნიშვნელოვანი ინსტიტუციური და ეკონომიკური სტრუქტურები, რომლებმაც კონფლიქტის ტრანსფორმაციას ხელშემწყობი გახდა. წარმოდგენილი ნაშრომი უპასუხებს კითხვას: რამდენად ეფექტური იყო ევროკავშირის როლი ჩრდილო ირლანდიის კონფლიქტში მშვიდობის დამყარებისთვის და რაოდენ გადამწყვეტი როლი ჰქონდა მის პოლიტიკას.

საკვანძო სიტყვები: ჩრდილოეთ ირლანდიის კონფლიქტი, ევროკავშირი, კონფლიქტის რეზოლუცია, მშვიდობის მშენებლობა, ეთნო-ნაციონალური კონფლიქტები.

European Union's Role in the Northern Ireland Conflict Resolution

Tatuli Tordia

Caucasus International University

Faculty of Social Sciences and Humanities

PhD Student

Tatuli.Tordia@ciu.edu.ge

ORCID iD: https://orcid.org/0009-0009-8044-5686

Malkhaz (Soso) Vakhtangashvili

Caucasus International University

PhD in History

Soso.Vakhtangishvili@ciu.edu.ge

ORCID iD: https://orcid.org/0009-0003-1403-2257

Abstract

The Northern Ireland conflict is one of the most complex and long-running disputes in modern Europe, with the European Union's role in the resolution process being emphasised.

Although the following topic has been widely explored, and the EU has not been the primary driving force in resolving the conflict, I believe the specifics of the EU's involvement require a more in-depth analysis and research to better comprehend its role not only in conflict transformation but also in conflict resolution. As a result, the paper explores several theoretical approaches to analysing the EU's peacebuilding efforts, including both sceptical and optimistic viewpoints.

The article focuses on the political, economic, and social aspects of the European Union's conflict resolution policy. Particular focus is placed on the EU's financial programs, which attempted to reinforce the social and economic infrastructure, as well as the organisation's involvement in political negotiations, which were critical in rebuilding trust between the conflicting parties. This article demonstrates that the EU's influence went beyond mere economic support, promoting broader political and structural changes and establishing it as a key actor in the conflict resolution process.

Despite instances where EU intervention has faced criticism and differing evaluations of its impact by various scholars, it is clear that the organisation established crucial institutional and economic frameworks that facilitated the transformation of the conflict. This article addresses the question: How effective was the European Union's role in bringing peace to Northern Ireland, and how decisive was its policy?

Keywords: Northern Ireland Conflict, European Union, Conflict Resolution, Peacebuilding, Ethno-national conflicts

ჩრდილოეთი ირლანდიის კონფლიქტი თანამედროვე ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი და კომპლექსური კონფლიქტია, რომელმაც პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ასპექტები მოიცვა. კონფლიქტში დაპირისპირებულ მხარეებს ირლანდიელი კათოლიკე ნაციონალისტები (რომლებიც გაერთიანებული ირლანდიის შექმნას უჭერდნენ მხარს) და ბრიტანეთის ერთიანობის მომხრე პროტესტანტები (რომელთაც გაერთიანებული სამეფოს შემადგენლობაში სურდათ დარჩენა) წარმოადგენდნენ. დაპირისპირება, რომელიც 1960-იან წლებში დაიწყო და 1998 წელს „დიდი პარასკევის შეთანხმებით“ დასრულდა, არა მხოლოდ ბრიტანეთისა და ირლანდიის მთავრობების, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის, ევროკავშირის აქტიურ შუამავლობის პროცესს მოითხოვდა.

ჩრდილოეთ ირლანდიის კონფლიქტის მშვიდობიან რეზოლუციაში საინტერესოა გარეგანი აქტორის - ევროკავშირის ჩართულობის როლი. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი არ ყოფილა კონფლიქტის გადაჭრის მთავარი მამოძრავებელი ძალა, მან განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა, როგორც რეგიონალური სტაბილიზაციის პროცესში, ასევე ფართო ევროპულ კონტექსტში.

ევროკავშირის ჩართულობა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ დონეზე სხვადასხვა სახის პროგრამებისა და პოლიტიკური მექანიზმების შემუშავებას გულისხმობდა, რამაც ხელი შეუწყო მხარეებს შორის შეთანხმების მიღწევას. მისი როლი მშვიდობისა და რეზოლუციის ხელშეწყობაში არა მხოლოდ ერთგულ სახელმწიფოთა ინიციატივებს, არამედ ე.წ. second-track diplomacy-ის გამოყენებასაც მოიაზრებდა, რომელიც ადგილობრივი საზოგადოების, სამართლისა და ეკონომიკის წინსვლისკენ იყო ორიენტირებული.

ევროკავშირის როლი კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესში: აკადემიური პერსპექტივები

წინამდებარე კვლევა ყურადღებას ამახვილებს ევროკავშირის (EU) ჩართულობაზე კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების პროცესში, ხაზს უსვამს რა მის ცენტრალურ როლს ამ კონტექსტში. ამ საკითხის სრულყოფილად გასაანალიზებლად, განხილული იქნება წამყვანი მეცნიერების ნაშრომები, რომლებიც ევროკავშირის ამბიციებსა და მიდგომებს ასახავს. კერძოდ, ეტაინ ტანამის კვლევა ნათლად წარმოაჩენს ევროკომისიის როლს კონფლიქტის სამშვიდობო სტრატეგიების შემუშავებაში, რაც ხაზს უსვამს ინსტიტუციურ ჩარჩოსა და პოლიტიკის ფორმირების მნიშვნელობას. კეით ჰეივარდი აანალიზებს ევროკავშირის ხედვას ჩრდილოეთ ირლანდიის სამშვიდობო პროცესში, ამასთან, სიღრმისეულად იკვლევს ეთნიკური და ეროვნული იდენტობის საკითხების გავლენას კონფლიქტის მოგვარებაზე. ჯიადა ლაგანას ნაშრომები ძირითადად თანამედროვე მიდგომებს ეძღვნება, სადაც გაანალიზებულია ევროკავშირის ჩართულობის ევოლუცია სამშვიდობო პროცესებში და ამ ჩართულობის შედეგები. დაბოლოს, პოლ დიქსონი პრობლემას განიხილავს საერთაშორისო პოლიტიკური პროცესების, სამოქალაქო კონფლიქტების მოლაპარაკებების მექანიზმებისა და სტრატეგიების ჭრილში, რაც ევროკავშირის მოქმედებებს ფართო თეორიულ და პრაქტიკულ კონტექსტში ათავსებს. ამ მეცნიერული პერსპექტივების კომპლექსური ანალიზი საშუალებას მოგვცემს, სრულყოფილად შევაფასოთ ევროკავშირის მრავალმხრივი წვლილი კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების პროცესში.

წინამდებარე საკითხის აქტუალურობა განისაზღვრება არა მხოლოდ ჩრდილოეთ ირლანდიის კონფლიქტის სპეციფიკით, არამედ უმთავრესად ევროკავშირის წარმატებული როლით კონფლიქტის ტრანსფორმაციასა და რეზოლუციაში. ევროკავშირის ჩართულობამ ნათლად გამოკვეთა მისი პოლიტიკური გავლენა, რომელიც მნიშვნელოვან წვლილს იღებს დაპირისპირებულ მხარეთა შორის პოლიტიკური სტაბილურობისა და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობაში. ეს გამოცდილება ცხადყოფს ევროკავშირის, როგორც მშვიდობის მშენებლობის აქტორის, პოტენციალს. თუმცა, აუცილებელია ხაზი გაესვას იმ ფაქტს, რომ თითოეული კონფლიქტი უნიკალურია თავისი გამომწვევი მიზეზებით, დინამიკითა და მონაწილე აქტორებით. შესაბამისად, კონფლიქტის ტრანსფორმაცია-რეზოლუციის ერთიანი მექანიზმის უნივერსალური ეფექტურობა არარეალურია. წარმატებული ჩარევა მოითხოვს კონფლიქტის კონტექსტის სიღრმისეულ გაგებას და ადაპტირებულ მიდგომებს, რომლებიც ითვალისწინებს მოცემული სიტუაციის სპეციფიკას.

ეტაინ ტანამი, დუბლინის ტრინიტის კოლეჯის საერთაშორისო მშვიდობის კვლევების ასოცირებული პროფესორი და ექსპერტი, თავის სტატიაში[179] ასკვნის, რომ კონფლიქტის რეზოლუციის პროცესში ევროკომისიის ჩართულობა გაძლიერდა 1989 წლის შემდეგ, როდესაც რეგიონის ეკონომიკური განვითარება ევროკავშირის დღის წესრიგის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტად იქცა. ევროკომისის მონაწილეობა სხვადასხვა ფინანსურ და სოციალურ პროგრამებში, რაც, მისი აზრით, ხელს უწყობდა კონფლიქტის დეესკალაციას.

ტანამის ხედვა საინტერესოა იმ მხრივ, რომ ის ყურადღებას არა მხოლოდ კონკრეტულ პოლიტიკურ ინიციატივებზე, არამედ ევროკავშირის გრძელვადიან სტრატეგიებზეც ამახვილებს. თუმცა, შეიძლება გაჩნდეს კითხვა - იყო თუ არა აღნიშნული პოლიტიკა საკმარისი იმისთვის, რომ ევროკავშირს დაპირისპირებული მხარეები რეალური კომპრომისისკენ წაეყვანა? ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის ეკონომიკური ხელშეწყობა მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ უშუალოდ კონფლიქტის მოგვარება მხოლოდ ეკონომიკური ფაქტორებით ვერ აიხსნება. ამდენად, ტანამი მიიჩნევს, რომ საბოლოოდ ევროკავშირის როლი ჩრდილოეთი ირლანდიის კონფლიქტების რეზოლუციის პროცესში თანდათანობით გაიზარდა და არა მხოლოდ ფინანსური მხარდაჭერის წყარო გახდა, არამედ უფრო აქტიურადაც კი ჩაერთო მშვიდობიან პროცესებში.

ამის პარალელურად, კეით ჰეივარდი, პოლიტიკური სოციოლოგიის პროფესორი ბელფასტის ქვინსის უნივერსიტეტში და ირლანდიის სამეფო აკადემიის წევრი, კონფლიქტის მოგვარებაში იდენტობის პოლიტიკის როლს იკვლევს და გამოკვეთს ევროკავშირის ეკონომიკური სტაბილურობის გარანტობას. მისი აზრით, ევროკავშირმა ხელი შეუწყო ჩრდილოეთ ირლანდიაში ირლანდიური და ბრიტანული იდენტობების კონცეპტუალიზაციას, თუმცა, მიიჩნევს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მისი მიდგომები უფრო მეტად ინსტიტუციური იყო, ვიდრე პრაქტიკული[180].

ჰეივარდი ამტკიცებს, რომ ევროკავშირის ჩარევამ ხელი შეუწყო ჩრდილოეთი ირლანდიის იდენტობის დინამიკის ტრანსფორმაციას, რითაც შესაძლებელი გახდა კონფლიქტში ჩართული მხარეების ახალი გზებით თანამშრომლობა. მისი აზრით,

[179] Etain Tannam, "The European Commission's Evolving Role in Conflict Resolution: The Case of Northern Ireland 1989–2005", *Cooperation and Conflict: Journal of the Nordic International Studies Association* 42, no. 3 (2007): 344.

[180] Katy Hayward, "Reiterating National Identities: The European Union Conception of Conflict Resolution in Northern Ireland", *Cooperation and Conflict: Journal of the Nordic International Studies Association* 41, no. 3 (2006): 267.

ევროკავშირმა შექმნა ახალი პოლიტიკური ჩარჩო, სადაც ეროვნული იდენტობები ნაკლებად დაპირისპირებულად აღიქმებიან, რაც კონფლიქტის დეესკალაციას უწყობს ხელს.

ჰეივარდის მოსაზრება არგუმენტირებულია, ის მიგვითითებს, რომ კონფლიქტის მოგვარებისთვის მხოლოდ ეკონომიკური ფაქტორები საკმარისი არ არის - იდენტობის ცვლილება და კულტურული ჩარჩოს ტრანსფორმაცია კრიტიკულად აუცილებელია. თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ იდენტობის ცვლილება საკმაოდ ნელი და კომპლექსური პროცესია, რომელიც შეიძლება ათწლეულების განმავლობაშიც კი გაგრძელდეს. ჰეივარდის არგუმენტი, რომ ევროკავშირმა შექმნა ახალი პოლიტიკური გარემო მართებულია, მაგრამ ამან, იდენტობის პრობლემა სრულიად ვერ გადაჭრა.

მეორე მხრივ, ჯიადა ლაგანა, კარდიფის უნივერსიტეტის ასოცირებული მკვლევარი ამტკიცებს, რომ ევროკავშირი არა მხოლოდ ფინანსური მხარდაჭერისა და პროგრამების საშუალებით, არამედ პოლიტიკური ინსტიტუტების ჩამოყალიბებითაც ასრულებდა მნიშვნელოვან როლს. ლაგანა ევროკავშირის როლს განმარტავს „მეტამმართველობის“ კონცეფციით[181], რაც პოლიტიკური პროცესების სტრატეგიულ კოორდინაციას გულისხმობს. მისი აზრით, ევროკავშირის როლი იყო პოზიტიური, რადგან მან შექმნა სტრუქტურები, რომლებიც მხარეებს შორის თანამშრომლობას უწყობდნენ ხელს. ავტორი განიხილავს ისეთ პროგრამებს, როგორიცაა PEACE და INTERREG, როგორც მაგალითებს, თუ როგორ იყენებდა ევროკავშირი ფინანსურ და სტრუქტურულ საშუალებებს პოლიტიკური ჩარჩოების შესაქმნელად.

ავტორის შეფასებით, ამ და სხვა პროგრამებმა ხელი შეუწყვეს სოციალური კაპიტალის გაზრდასა და კონფლიქტში ჩართულ ჯგუფებს შორის ნდობის აღდგენას. ევროკავშირის ჩარჩოებმა შექმნა სივრცე, სადაც ირლანდიური და ბრიტანული იდენტობები მშვიდობიანი თანაარსებობის შესაძლებლობას პოულიბდნენ. ამგვარად, მშვიდობის პროცესის ინსტიტუციონალიზაცია იდენტობების თანაარსებობის პრაქტიკული საშუალება გახდა.

მიგვაჩნია, რომ ჯიადა ლაგანას ნაშრომი აჩვენებს, რომ მშვიდობის დამყარება მხოლოდ მოლაპარაკებებითა და ფინანსური ჩარევით არ ხდება - ის გრძელვადიანი ინსტიტუციური ჩარჩოების არსებობას საჭიროებს.

[181] Giada Lagana, *The European Union and the Northern Ireland Peace Process* (Cham, Switzerland: Palgrave Macmillan, 2021), 35.

პოლ დიქსონი, ლესტერისა და ქვინ მერის ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორი, კი თავის ნაშრომში განსხვავებულ პერსპექტივას გვთავაზობს. მისი აზრით, მშვიდობიანი პროცესები ხშირად პოლიტიკურ სპექტაკლს ჰგავდა, სადაც ევროკავშირის როლი სიმბოლური უფრო იყო, ვიდრე პრაქტიკული. იგი აკრიტიკებს იმ მოსაზრებას, რომ ევროკავშირი კონფლიქტის მოგვარებაში გადამწყვეტი ძალა იყო და მიიჩნევს, რომ ადგილობრივმა პოლიტიკურმა ძალებმა უფრო დიდი როლი ითამაშეს. იგი უარყოფს იდეალიზებულ წარმოდგენებს სამშვიდობო პოლიტიკის შესახებ და ხაზს უსვამს პოლიტიკოსების „მრუდე ხელოვნებას“ და მიაჩნია, რომ პოლიტიკური აქტორები ძირითადად მოიაზრებენ დიპლომატიურ მანიპულაციებს, საჯარო წარმოდგენებსა და კომპრომისებს, რომელიც აუცილებელია კონფლიქტის დასასრულებლად[182].

ჩრდილოეთი ირლანდიის კონფლიქტის მოგვარების პროცესში ჩართულმა მრავალმა მხარემ - ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე სხვადასხვა ფორმით წვლილი შეიტანა სამშვიდობო შეთანხმების მიღწევასა და მის შემდგომ განმტკიცებაში; ერთ-ერთ ძირითად აქტორს ევროკავშირი წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ მას არ ჰქონია უშუალო შეხება პრობლემის გადაჭრაში, ევროკავშირმა უზრუნველყო სტაბილური გარემო, პოლიტიკური პლატფორმა და ინსტიტუციური გარემო, რომელმაც საფუძველი მისცა ნდობის გაღრმავებასა და გრძელვადიანი მშვიდობის მშენებლობას.

ევროკავშირმა კონფლიქტის მოგვარების პროცესში რამდენიმე ძირითადი როლი ითამაშა:

- **ფინანსური მხარდაჭერა** - ევროკავშირმა ჩრდილოეთ ირლანდიაში მშვიდობისა და ეკონომიკური აღორძინების მხარდასაჭერად მილიარდობით ევრო გამოყო. მსგავსმა პროგრამებმა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს რეგიონზე;
- **პოლიტიკური ნეიტრალიტეტი და შუამავლობა** - ევროკავშირმა მოახერხა ნეიტრალური მხარის როლის შესრულება, რაც კონფლიქტის დაპირისპირებულ მხარეებს შორის ნდობის აღდგენისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო. ევროკავშირის წევრობა კი ირლანდიისთვის და გაერთიანებული სამეფოსთვის საერთო პოლიტიკურ სივრცეს ქმნიდა, რაც მხარეებს შორის თანამშრომლობას და დიალოგს აძლიერებდა.

[182] Paul Dixon, *Performing the Northern Ireland Peace Process: In Defence of Politics* (Cham, Switzerland: Palgrave Macmillan, 2019), 15.

- **მრავალმხრივი მოლაპარაკებების მხარდაჭერა** - ევროკავშირი მხარს უჭერდა მრავალმხრივ მოლაპარაკებებს, რაც საბოლოოდ 1998 წლის შეთანხმების მიღწევას დაეხმარა. ამასთან, ევროკავშირის პოლიტიკა ხელს უწყობდა ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული პრინციპების დაცვას, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობა იყო კონფლიქტის მოგვარებისთვის.

სტატიაში განხილული კვლევითი ნაშრომების შედარებით, ცხადია, რომ ევროკავშირს ნამდვილად ჰქონდა მნიშვნელოვანი როლი ჩრდილოეთი ირლანდიის კონფლიქტის რეზოლუციის პროცესში, თუმცა, მისი გავლენის ხარისხი და ბუნება განსხვავებულადაა შეფასებული.

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის კონფლიქტში ჩართვამ დადებითი გავლენა იქონია, განსაკუთრებით, ეკონომიკური მექანიზმების მეშვეობით, კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ მას პირდაპირი პოლიტიკური ჩარევის ბერკეტები არ გააჩნდა; ამდენად, ნაკლებად შეეძლო უშუალო გავლენა ჰქონოდა პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე, თუმცა, მისი ფინანსური და სტაბილიზაციის პროგრამები მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო მშვიდობიანი პროცესის შენებისთვის.

ერთი მხრივ, ვეთანხმები ტანამის მოსაზრებას ევროკომისიის როლის ევოლუციის შესახებ, რაც ცხადყოფს, რომ ევროკავშირი მხოლოდ ეკონომიკური მოთამაშე არ ყოფილა, რადგან მას აქტიურად განუხორციელებია გარკვეული პოლიტიკური ინიციატივებიც. ამასთან, ლაგანას პოზიცია, განსაკუთრებით საინტერესოა, ის აღნიშნავს, რომ ევროკავშირმა შექმნა სტრუქტურული თანამშრომლობის მექანიზმები, რაც მიუთითებს, რომ მისი როლი მხოლოდ ფინანსური დახმარებით არ შემოიფარგლებოდა.

მეორე მხრივ, დიქსონის მოსაზრება, რომ ევროკავშირის როლი მხოლოდ „პოლიტიკურ სპექტაკლს“ ჰგავდა, გადაჭარბებული შეფასებაა, რადგან ევროკავშირის დაფინანსებული პროგრამები ფაქტრობრივად საზოგადოებას სტაბილურობის მიღწევაში დაეხმარა.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შედარებითი ანალიზი აჩვენებს, რომ ტანამი, ჰეივარდი და ლაგანა იზიარებენ ევროკავშირის მნიშვნელოვან გავლენას კონფლიქტის მოგვარებაზე, თუმცა განსხვავდებიან აქცენტებში: ტანამი ფოკუსირდება ინსტიტუციურ ჩარჩოზე, ჰეივარდი იდენტობების პოლიტიკაზე, ხოლო ლაგანა ევროკავშირის თანამედროვე როლზე. დიქსონი კი უფრო სკეპტიკურია და მიიჩნევს, რომ ევროკავშირის როლი შესაძლოა გადაჭარბებულად იყოს შეფასებული და გვთავაზობს ახალ იდეას, რომლის მიხედვითაც ევროკავშირმა კონფლიქტის

გადაჭრაზე მეტად, საკუთარი ინტეგრაციის ლეგიტიმურობის გამყარებისთვის გამოიყენა ეს პროცესები.

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის როლი კონფლიქტის მოგვარების პროცესში არსებითად მნიშვნელოვანი იყო, მისი გავლენა ვერ ჩაანაცვლებდა ადგილობრივი პოლიტიკური პროცესების ფუნდამენტურ მნიშვნელობას. კერძოდ, კონფლიქტის საბოლოო რეზოლუცია უფრო მეტად იყო დამოკიდებული ადგილობრივ აქტორთა ნებაყოფლობით ჩართულობასა და გადაწყვეტილებებზე. ამ კონტექსტში, ევროკავშირი წარმოადგენდა მნიშვნელოვან, თუმცა არა აბსოლუტურად გადამწყვეტ ფაქტორს. მისი ჩართულობა, რომელიც მოიცავდა დიპლომატიურ მხარდაჭერას, ფინანსურ დახმარებასა და ინსტიტუციურ კონსულტაციებს, ხელს უწყობდა ხელსაყრელი გარემოს შექმნას მოლაპარაკებებისთვის, მაგრამ კონფლიქტის ტრანსფორმაციის მთავარი მამოძრავებელი ძალა მაინც შიდა პოლიტიკური დინამიკა იყო.

ჩრდილოეთი ირლანდიის კონფლიქტის რეზოლუციის პროცესში ევროკავშირის ჩართულობა უდავოდ ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება რეგიონული ორგანიზაცია გახდეს სამშვიდობო ძალა კონფლიქტის მოგვარების პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ მკვლევრებს შორის არსებობს განსხვავებული შეხედულებები ევროკავშირის როლის შეფასებაზე, საერთო აზრია, რომ მისი ჩართულობა, ერთი მხრივ, მშვიდობის მშენებლობის პროცესში მტკიცე ინსტიტუციურ საფუძველს ქმნის, ხოლო, მეორე მხრივ, მისი როლი გრძელვადიანი პოლიტიკის ნაწილად განიხილება.

გამოყენებული ლიტერატურა

დიქსონი პ. 2019. *ჩრდილოეთ ირლანდიის მშვიდობის პროცესის წარმოება.* შამი, შვეიცარია: პალგრეივ მაკმილანი.

ლაგანა ჯ. 2021. *ევროკავშირი და ჩრდილოეთი ირლანდიის მშვიდობის პროცესის საკითხი.* შამი, შვეიცარია: პელგრეივ მაკმილანი.

ტანამი ე. 2007. „ევროპული კომისიის როლის ევოლუცია კონფლიქტების მოგვარებაში: ჩრდილოეთი ირლანდიის შემთხვევა, 1989-2005.“ *Cooperation and Conflict: Journal of the Nordic International Studies Association,* Vol. 42(3): 337–356.

ჰეივარდი კ. 2006. „ეროვნული იდენტობების განმეორებითი განაცხადი: ევროპული კავშირის ხედვა კონფლიქტების მოგვარებაზე ჩრდილოეთ ირლანდიაში.“ *Cooperation and Conflict: Journal of the Nordic International Studies Association,* Vol. 41(3): 261-284.